

მდინარე ყვირილის აუზის ჰიდროლოგიური რეჟიმის შეფასება

თამთა თაბაგარი

ელ-ფოსტა: tamta.tabagari@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

წყლის რესურსების მდგომარეობაზე, მის რეჟიმზე და ხარისხზე დამოკიდებულია კაცობრიობისათვის აქტუალური ეკოლოგიური სასურსათო და ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრა. საქართველოს ეკონომიკის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული წყლის რესურსებზე, მათ რაციონალურ და ეფექტურ გამოყენებაზე. ამ რესურსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახე მდინარეთა ჩამონადენია, რომლის რეჟიმის შესწავლა და მართვა (რეგულირება) - ის ძირითადი პრობლემაა, რომელიც თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული აქტუალურობით ხასიათდება.

მდინარეები წარმოადგენენ ქვეყნის სასიცოცხლო არტერიებს, მათ ნაპირებთან იქმნებოდა პირველი დასახლებული პუნქტები, შენდებოდა ქალაქები, სამრეწველო ცენტრები. მდინარის წყლის რესურსებს უძველესი დროიდან იყენებდა ადამიანი. წყლის მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორცაა მორწყვა, ნაოსნობა, ხე-ტყის დაცურება განვითარების დიდი ისტორია აქვს. ამასთანავე მდინარეები წარმოადგენენ ელექტროენერჯის უშრეტ წყაროს.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული და შეფასებულია მდინარე ყვირილის აუზის წყლის რესურსები, ჰიდროლოგიური რეჟიმი და მათი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი.